საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები 1992 - დან 2019 წლების ჩათვლით

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის 25 წლიანი დაუსრულებელი, გამოუძიებელი საქმე.
   სააკაშვილის მიერ შეგნებულად ჩაგდებული გამოძიება, რომელმაც "ნაც. მოძრაობის "მომხრე" ზვიად გამსახურდიას რამოდენიმე "ფორმალური" წევრებისადმი საქმის გამოძიების შეწყვეტის გადაბრალება (სინამდვილეში მან შეასრულა კრემლის ბრძანება და დაფარა მოქ. კავშირელებისა და ნაც. მოძრაობის წევრების დანაშაული ე.წ. ფორმალური გამოძიებით).

2. საქართველოს კონსტიტუციური - ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, კრიმინალური ბანდებისა და უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების გამოყენებით: საქართველოს კუთხეების დარბევა, მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, მატერიალური ზიანის მიყენება, დამნაშავეთა ხელშეუხებლობისა და დაფარვის მიზნით სხვადასხვა სტრუქტურებში "დასაქმება".

3. საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიზანმიმართული გადამალვა - განადგურება.

4. კოლხური კოშკის გაძარცვა, ვანდალური დარბევა, გადაწვა, გამოძიებისადმი თავის არიდება, დამნაშავეთა ხელშეუხებლობა.
   წყნეთის მემორიალური სახლის გაყიდვა - სააკაშვილის, გ.უგულავას, ვ.ქობალიას ურთიერთ შეთანხმებით, რომლის ე.წ. მეპატრონეა 2010 წლიდან ვინმე თამაზ სომხიშვილი, რომელმაც 6 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა ზემოთ ხსენებულ ზვიად გამსახურდიას მტრებს!!!
   (იხ. 1991 წ. 1 ნოემბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება #769).

5. საქართველოს უახლესი ისტორიის გაყალბება: 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის, 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ სახელმწიფოში ჩატარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, განათლების, ჯანმრთელობის და სხვა ისტორიული ფაქტების უარყოფა, იგნორირება!

6. საქართველოს სამრეწველო, ინდუსტრიული, სასოფლო - სამეურნეო, განათლების, სამედიცინო, სტრატეგიული ობიექტების მიზანმიმართული განადგურება, რუსეთისა და უცხო სახელმწიფოთა - თვის გადაცემა, მხედრიონის, - მისი დამფინანსებლების, სახელმწიფოს მძარცველების - მაფიის სახელმწიფო რანგში აყვანა, კრიმინალური ბანდების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების საკუთრებაში მიტაცება. საქართველოს სახელმწიფოს ხელშეუხებელი მატერიალურ- ტექნიკური ბაზების (H3) გაძარცვა, გამოთავისუფლებული ტერიტორიების და შენობა-ნაგებობების საკუთრებაში გაფორმება. ნავთობ მომპოვებელი, გადამამუშავებელი და ბენზინ გასამართი სადგურების კერძო მფლობელობაში გაფორმება. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გაზის საბადოების კერძო მფლობელობაში ჩაგდება, უცხო სახელმწიფოდან გაზის შემოყვანის მიზნით ასეულობით დასახლებული პუნქტის აყრა, მფლობელთან საქართველოს მოსახლეობის საზიანოდ წილების გადაფორმება.(იხილეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ შედგენილი სამრეწველო საწარმოთა კატალოგი. ტომი I, ტომი II. საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეების კატალოგი ტ. I 1978 წ.).

7. საქართველოს წინაშე ჩადენილი აუნაზღაურებელი დანაშაულის ჩამდენთა გადანაწილება ე.წ. (არალეგიტიმურ) სტრუქტურებში: საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს არალეგიტიმური პარლამენტი და მთავრობა, სასამართლო, პროკურატურა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო; სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია; სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი; შპს „ საქართველოს მელიორაცია"; შპს „მექანიზატორი"ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (სსიპ - „აწარმოე საქართველოში"; სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო"; სსიპ - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია") ენერგეტიკის სამინისტრო (ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო; სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო; სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სსიპ წამლის სააგენტო; სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო; სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი; სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; სსიპ ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება; სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგაოდებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; კულტურისა და სპორტის სამინისტრო (სსიპ შემოქმედებითი საქართველო;
თეატრი; სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფ. სახელმწიფო თეატრი; სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფ. სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფ. სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფ. სახელმწიფო დრმატული თეატრი; სსიპ ჰეიდარ ალიევის სახ. თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ჩრდილების პროფ. სახელმწიფო თეატრი "აფხაზეთი"; სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფ. სახელმწიფო თეატრი; სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახ. დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. ბორჯომის თოჯინების პროფ. სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. გურჯაანის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქ. ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფ. სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფ. სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფ. სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფ. სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი;

სსიპ ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; კინო: სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი მუსიკალური ცენტრი, ანსამბლი, ფოლკლორი; სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ -კულტურული ცენტრი; სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი; სსიპ კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი; სსიპ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი; სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდი; სსიპ ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი; სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი"; სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "რუსთავი"; სსიპ ანსამბლი "ბასიანი"; სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი; ლიტერატურა: სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი; სსიპ მწერალთა სახლი სახელოვნებო განათლება; სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; სსიპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ. თბი;ლისის სამხატვრო სასწავლებელი; სსიპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის "ნიჭიერთა ათწლედი"; სსიპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ევგენი მიქელაძის სახელობის ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი; სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი; სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ქ. სოხუმის ალ. შერვაშიძე-ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი; სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების – ქ. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის წესდება; სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი ; სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი; სსიპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი; სსიპ ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი; მუზეუმები: სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი": სსიპ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე: სსიპ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ დავით გააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ - ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი; სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი; სსიპ ივანე მაჩაბლის მუზეუმი; სსიპ ვაჟა - ფშაველას სახლ-მუზეუმი; სსიპ დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმი; სსიპ საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი; სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი; სსიპ ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი; სსიპ გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი; სსიპ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი; სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმი; სსიპ ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი; სსიპ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი; სსიპ სმირნოვების მუზეუმი; სპორტი: სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი; შპს „სპორტმშენსერვისი"; ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო (სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი;

სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო; 3. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა; სსიპ იუსტიციის სახლი; სსიპ სახელმწიფო სერვისებისგანვითარების სააგენტო; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო; სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრი; სსიპ სმართ ლოჯიქი სხვა ორგანიზაციები; სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო; სსიპ შემოსავლების სამსახური; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს აკადემია; დაცვის პოლიცია; 112; მომსახურების სააგენტო; შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური); შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ფინანსთა სამინისტრო (სსიპ შემოსავლების სამსახური; სსიპ მომსახურეობის სააგენტო; სსიპ საფინანასო ანალიტიკური სამსახური; სსიპ ფინანასთა სამინისტროს აკადემია); სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო (სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი; სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; სსიპ დავით აღმაშენებლის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"; სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა), საკრებულოები, გამგეობები, მასმედია ელექტრონული და ბეჭდვითი, ფოსტა - ტელეგრაფი, პორტები სანდოობისა და დამსახურებების მიხედვით. აეროპორტები, ტურიზმის დეპარტამენტი, კულტურის სამინისტრო, მათდამი დაქვემდებარებული სიპები და აიპები. საქართველოს მოსახლეობისაგან ფულის ანაბრების ამოღება, ოჯახების გაძარცვა, ყალბი კუპიურების დაბეჭდვა- კუპონები, რითაც მოხდა კრიმინალების მიერ მოსახლეობის მატერიალური საკუთრების მიტაცება, კერძო ბანკების გახსნა, საცხოვრებელი ბინების ჩამორთმევა, მიუსაფარი ოჯახების აყრა, უსახლკაროდ დატოვება, მათი ტერიტორიების საკუთრებაში ჩაგდება, მილიონრვაასიათასი საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყნებში საქართველოდან იძულებით გადაადგილება.

8. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები:

ა) სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საავდმყოფოების პრივატიზება დამნაშავეთა კლანების მიერ, ოპერაციების თანხის ასტრონომიული ციფრები, რომელიც მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელია.

ბ) საქართველოში შემოტანილი გაურკვეველი წარმომავლობისა და ქმედებების პრეპარატები ასტრონომიული ფასებით, რომელთა უმეტესობას ფატალურ შედეგებამდე მიყავს მოსახლეობა (მედიკამენტებით ბიზნესი).

გ) სადაზღვევო კომპანიები, რომელნიც ფულის გათეთრებით არიან დაკავებულნი, მფლობელებად ავტომატიანი ყაჩაღები ან მათი მემკვიდრეები გვევლინებიან.

დ) სამარცხვინო 200 ლარიანი პენსია, რომლითაც პენსიონერი მოსახლეობა მედიკამენტების, საკვების, კომუნალური გადასახადების და სხვა ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ.

ე) ონკოლოგიურ ავადმყოფებზე შეღავათიანი მკურნალობის ნაცვლად, ექსპერიმენტების ჩატარება.

ვ) ყოვლად მიუღებელი აცრების ჩატარება, რომელიც არავითარ იმუნიტეტს არ ტოვებს, ხოლო ფინანსები, რომელიც უხვად შედის "მკურნალთა" ყულაბაში მოსახლეობის სასიკვდილო განაჩენია.

ზ) მოსახლეობის წინააღმდეგ მიზანმიმართული სეზონური ვირუსული ინფექციების გავრცელება, რომელსაც სამინისტრო პირადი გამდიდრების მიზნით იყენებს (მედიკამენტებზე შეგნებულად გაზრდილი ფასები და მათი გასაღების წყარო ე.წ. სამედიცინო დაწესებულებები, სამედიცინო დაწესებულებების ფინასნური მაფიის აღზევება , მოსახლეობის ფსიქოლოგიური და მორალური დამცირება) და სხვა მრავალი.

თ) გაურკვეველი ეტიოლოგიის დაავადებების გავრცელების ხელის შეწყობა მეორადი ტანსაცმლით, ავეჯით, ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობა, რომელსაც შეგნებულად უწყობს ხელს სახელმწიფო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, საქართველოს მტრების სახელობითი კაბინეტები, რომელთა უმრავლესობას ლომის წილი მიუძღვის საქართველოს ღალატში.

10. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ილიას მკვლელებისა და საქართველოს მოღალატეების სახელობის დარბაზი, რომელიც სტიმულს აძლევს მომავალ თაობას დანაშაულის ჩადენაში.

11. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კულტურის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტების საკუთრებაში გაფორმება (თეატრები, კინოთეატრები, კლუბები, საკონცერტო დარბაზები, სამხატვრო- საგამოფენო გალერეები) უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ბაგა - ბაღები, უპატრონო ბავშვთა სახლები, ბიბლიოთეკები და სხვა მრავალი ობიექტები.

12. საბჭოთა კავშირის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიაზე გიგანტური ჰესებისა და ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობა, რომელიც კონსტიტუციური ხელისუფლების პერიოდში იქნა შეჩერებული, რუსეთის გეგმის განახლება მოხდა არალეგიტიმური საოკუპაციო ადმინისტრაციის პერიოდში. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საუკუნეების მანძილზე დაცული საქართველოს საგანძურის იავარქმნა, ერთეული ბანდების მიერ, ხელში ჩაგდება და რეალიზება. ოქროს საბადოების გახსნა: კაზრეთი, საყდრისი-ყაჩაღიანი, სვანეთი, ფიტარეთი და სხვა მრავალი სადაც განხორციელდა საქართველოს წინააღმდეგ ძარცვა და ეკოლოგიური კატასტროფა.

13. საქართველოს ასწლოვანი ტყის საფარის განადგურება, რამაც გამოიწვია ეკოლოგიური კატასტროფა სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე: ჟანგბადის შემცირება, ტენიანობის მატება, ნიადაგის ჩამოშლა - დამეწყვრა, ასობით ოჯახის უსახლკაროდ დატოვება. საქართველოს ტყეების მიზანმიმართული გადაწვა ტერიტორიების კერძო მფლობელობაში ჩაგდების მიზნით. საქართველოს ტერიტორიების გადანაწილება იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ კანონიერი ეროვნული ხელის - უფლების დამხობაში, რომელშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელმაც აკურთხა კრიმინალური ბანდები, მათი ხელმძღვანელებით.

14. მავთულხლართებით შემოვლებული ტერიტორიის არა 20% არამედ 30%, რომელთა მავთულ - ხლართებით შემოვლება დღესაც გრძელდება, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობა გვანუგეშებს სამარცხვინო გამონათქვამით - კერძოდ: ისინი პატივს სცემენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ტერიტორიებისადმი პატივისცემა არ არსებობს, პატივისცემა არსებობს მოქალაქეების მიმართ, ხოლო უსულო საგნების მიმართ პატივისცემას საერთაშორისო სამართალი არ სცნობს ჩრდილოეთიდან -სამხრეთით, დასავლეთიდან - აღმოსავლეთით.

15. მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოში არსებობს სამი ტიპის "არასამთავრობო ორგანიზაცია"

ა) არასამთავრობო ორგანიზაციები" რომლებიც გახლავთ პირდაპირ სატელიტები მმართველი რეჟიმისა და რომელთა დანიშნულება მმართველი პარტიის ცრუ აგიტაცია და პროპაგანდაა, როგორც ქვეყნის შიგნით (მიმართული მოსახლეობის სიცრუეში ყოფნისთვის) ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ, საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის დეზინფორმაციის მიწოდება მმართველი ძალის მიერ გატარებული "წარმატებული პოლიტიკის" შესახებ.

პუტჩის შემდგომი ნებისმიერი ძალა არასამთავრობო ორგანიზაციებს აქტიურად იყენებს ე.წ. არჩევნების სათავისოდ გასაყალბებლად, რომელნიც იცავენ დაინტერესებული ძალის გაყალბებულ პოზიციებს.

ბ) მეორე ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები ექვემდებარებიან ე.წ. ოპოზიციას. ამ არა - სამთავროთა წევრების უმეტესობა ამავე პარტიის ყოფილი წევრები არიან, რომლებიც ასევე აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, არსებული მმართველი კლანის წინააღმდეგ. (ფინანსდებიან საქართველოს ბიუჯეტიდან და მოსახლეობიდან მიტაცებული ქონებით).

გ) მესამე ტიპის არასამთავრობოები ფინანსდებიან უცხოეთიდან და რომელთა მიზნებიც საერთოა: მათი ძირითადი საქმიანობა მოიცავს საქართველოს წინააღმდეგ ცილისმწამებლური ინფორმაციების გადაცემა - გავრცელებას და ევროპარლამენტისა და ევროკავშირის სხდომებზე გატანას. ფაქტიურად საქართველოს მოსახლეობა დაუცველია, ნადგურდება ყოველივე ეროვნული იდეალები, სარწმუნოება, ტრადიციები, რაც მიზნად ისახავს დაფინანსების ხარჯზე საქართველოს მოსახლეობის მოსყიდვას და ეროვნული ინტერესების დაგმობას.ამ ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურნი და გამოკვეთილი მტრები არიან ჯ.სოროსის მიერ დაფინანსებული და შექმნილი ე.წ. არასამთავრობოები, რომლებიც ბოლო 27 წლის მანძილზე მიზანმიმართულად, აქტიურად ებრძვიან და ანადგურებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

16. პუტჩიდან მოყოლებული დღევანდელი დღის ჩათვლით მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე სამშენებლო ქაოსი, რომელიც ემსახურება პუტჩისტებისა და მათი მემკვიდრე რეჟიმების გამდიდრებას, რაც მიმდინარეობს ყოველგვარი წესის დარღვევით, დაწყებული ქალაქგეგმარების თვალსაზრისით და დამთავრებული უხარისხო სამშენებლო მასალით.
საერთაშორისო ნორმების დარღვევით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაყიდვა, რაც განაპირობებს ქაოტურ მშენებლობებს.
რეკრეაციული ზონების განადგურება, ტყის მასივების გადაწვა შემდგომში ტერი - ტორიების მიტაცების და გაყიდვის მიზნით, პარკების, სკვერების განადგურება - მათთვის ხელისშემშლელი კონკრეტული ხეების ხელოვნურად დაზიანება (შხამ - ქიმიკატებით, ფესვების ჩაჭრით, ცეცხლის წაკიდებით, ხის ძირების დაზიანებით) მათ ადგილას მრავალსართულიანი შენობების განთავსების მიზნით.
მეწყერსაშიში და მაღალ სეისმურ ზონებში მშენებლობის ნებართვების უკანონო გაყიდვები.
მშენებლობის პროცესების წარმართვა საერთაშორისო წესების დარღვევით.
ქალაქის მერის მიერ შენობათა ექსპლოატაციაში მიღების პროცესის ხელოვნურად გართულება და ჩაუბარებელ ბინებში მოსახლეობის თვითნებური შესახლება, რომლის მიზანია - ყოველგვარი წესების დარღვევით განხორციელებულ მშენებლობათა შედეგებისა და ხიფათისაგან პასუხისმგებლობის თავიდან აცილება.

17. ჰაერის ეკოლოგიური დაბინძურება.

მომრავლებული, მწყობრიდან გამოსული, მეორადი, ჩამოწერილი, უცხოეთის მანქანების სასაფლაოებიდან წამოღებული როგორც მსუბუქი ავტომობილები ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის საქართველოს მოსახლეობაზე გასაღება - რის შედეგადაც საქმოსნებს რჩებათ ასტრონომიული მოგება, ხოლო საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფულ ნიშნულამდე დადის. ამ ავტობიზნესში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სახელისუფლებო წარმომადგენლები ასევე სასულიერო მაღალი იერარქიის პირები.

საქართველოს მასშტაბით მოშლილია ტრანსპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები, თვით დასუფთავების სამსახურისა თუ სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის წესების დონეზე.

18. ქართველი ერის გეგმაზომიერი გენოციდი.
ისედაც კატასტროფიული დემოგრაფიული მდგომარეობის ხელვნურად გაუარესება, ათასგვარი ნარკოტიკული საშუალებების შემოტანით, ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ნარკობიზნესში ჩართვა, ნარკოდამოკიდებულად ჩამოყალიბება. კლუბების, ბარებისა და კაფეების ნარკოტიკების გასაღების არეალად გამოყენება. ნარკოგამსაღებლების ხელშეუხებლობა სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. ნარკოტრეფიკი, ნარკობიზნესის სამთავრობო დონეზე კურირება - კლუბების სადაც ღიად იყიდება ათასგვარი ნარკოტიკული საშუალება, (რამაც ბოლო 28 წლის მანძილზე უამრავი ახალგაზრდის ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეიწირა) მსს, პატრული თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურები დაუფარავად უწევენ მფარველობას. ფაქტიურად საქართველოში ნარკობიზნესი ქვეყნის მმართველი კლანის ერთ - ერთ მთავარ ბიზნესად არის ქცეული.
ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის მორალური და ზნეობრივი დეგრადაცია, გარყვნილებისა და თავაშვებულობის პროპაგანდა - აგიტაცია. ე.წ. კლუბური ცხოვრების დამკვიდრებით.
რეალურად კი გარყვნილების ცხოვრების წესად ქცევა რაც იწვევს მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული მსოფლმხედველობის და ზოგადსაკაცობრიო ნორმების მოშლას, ხოლო საბოლოო ჯამში ადამიანის სრულ დეგრადაციასა და პიროვნულ ანულირებას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მმართველი რეჟიმის მიერ ბრბოდ ქცეული ადამიანების ადვილად სამართავად.

19. მოსახლეობის წინააღმდეგ მიმდინარე აგიტაცია რაც ფაქტობრივად პუტჩის შემდეგ სისრულეში იქნა მოყვანილი კერძოდ: საქართველოს მოქალაქეების იგნორირება, მართლმადიდებლობის გმობა, ეროვნული თვითშეგნების განადგურება, ერთსქესიანთა, ტრანსგენდერთა, პედოფილთა და უცხოეთიდან შემოგზავნილი სექსუალური ფირების გავრცელება, რომელმაც ფაქტობრივად შეცვალა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნება.

20. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილზე საქართველოს ეკლესიის მიერ დუმილი, რომელიც მხარდაჭერის ტოლფასია. ქვეყანაში მომხდარი ყოველდღიური მძიმე დანაშაული, მოსახლეობის სულიერი გადაგვარება, ეროვნული დაპირისპირება, უცხოტომელთათვის პრიორიტეტის მინიჭება, საქართველოს მიტაცებულ ტერიტორიებზე ქართული ტაძრების უპრობლემოდ ჩაბარება, რომელზეც ერთი საპროტესტო განაცხადი არ გაკეთებულა ეკლესიის მიერ, მოსახლეობის მხრიდან აღიქმება, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ მიუტევებელ დანაშაულად.

თბილისი 04.04.2019